

6 0 3 6 0

№ 22 თბილისი ნოემბერი 1950 წ. გამოცემულია „მოცემის“ ფაზი XXVII. ფარ 2 მან. ტიპი კომისიის



ნათელი არგებენი

კი, მაგრამ, ქალთ, საიდან ჩანს, რომ ჩვენს თავშედომარეს კადავ დემორატად აირჩივენ და იხის.
თავშედომარედ გავა?
აი, ამ ფანჯრიდან!

Образец



ბევრი — დღეს ჩოგორ გუნებაზე ბრძანდებით, გიხტერ, ინგლისის მთავრობამ თქვენი ნება ხომ აღა-
სრულა. — წინ ალუდგა მშვიდობის მომხრეთა კონკრეტებს.

აჩვენები — ეგ ეფლა უკვე შემატყობინა.

ბევრი — მაშ ამ დილით საუზმედ ჩა მოგართვათ, მტრებს ხომ არ ინებებთ?

აჩვენები — არა, მტრები ისევ ვიტრინაზი გქონდეთ. მე ხაზარბაზე ხორცი ზინდა...

როგორი ამბეჭი

გვარის დაზევის ოსტატი

უკვე რამდენიმე წელიწადია დავაა
ატენილი ინგლისისა და ევრიპტეს შო-
რის, ინგლისის ჯარის მიერ სუეცის
არხის ოუპაკიის გამო. ამერიკის შე-
ერთებული შტატების სახელმწიფო
მდივანმა აჩესონმა იყისრა შუამაგლო-
ბა ინგლისისა და ევრიპტეს შორის და
გამონახა დავის გადაჭრის „საუკეთე-
სო“ ხერხი: მან მოითხოვა ამერიკული
ჯარის ჩაყენება სუეცის არხის ზოხაში.

დარწმუნებული ვართ, რომ როგორც
კი გურულები ამ შემთხვევას გაიგებენ.
იმ წუთში გაახსენდებათ ძველისძველი
ანდაზა: „დამია, მომე მაი ჭადი და წა-
ვიტე პაჭასო“.

ჩერილისიაზური

დანიაში ოფიციალური მიწვევით ჩა-
ვიდა ინგლისელ კონსერვატორების
ლიდერი უინსტონ ჩერილი. დანიას
მთავრობამ დიდი აურჩაურითა და
ხმაურით მიუძღვნა სტუმარს რამდენი-
მე ასეულ ათას კრონად ლირებული
ფასეულობა. სხვა მრავალ პატივისცე-
მის გარდა, საყურადღებოა ის, რომ

ჩერილის სტუმრობის ალსანიშნავად
ფაბრიკებმა გამოუშვეს ახალი სიგარე-
ტი — „ჩერილისებური“.

როგორც დანის პატიოსან წრეებში
აღნიშნავენ, ფაბრიკებმა ეს სახელი სი-
გარეტს იმიტომ უწოდეს, რომ იგი ისე-
ვი იწვის და იფერფლება, როგორც
ჩერილი იწვის და იფერფლება ახალი
ობის სურვილით.

ცეკვის გოგოარული

ურნალი „ნოვო ვრემია“ იტყობი-
ნება ერთი კურიოსული შემთხვევის
შესახებ ფრანგ კოლონიზატორ მებრ-
ძოლთა ცხოვრებიდან. ვიეტნამელმა
სახალხო გამათავისუფლებელი არმიის
მებრძოლებმა მედგარი იერიში მიიტა-
ნეს ქალაქ დონგ ხეს ასალებად. ფრანგ-
მა კაპიტანმა ალომ, რომელიც ქალა-
ქის დაცვას ხელმძღვანელობდა, დემე-
შა აფრინა გენერალ მარშანთა: „დონგ
ხე განსაცდელშია, ჩევნმა ნაწილშა დი-
დი ზარალი ნახა, მტერი გარს შემორ-
ტყმას ცდილობს და თუ შეიძლება პა-
რაშუტისტები მოვევშველეთო“.

მაღა საპასუხო დეპეშა მიიღეს:


„დღეს კვირაა. გენერალ მარშანს
სტუმრები ჰყავს. მართავს საცეკვაო
სალამოს. თუ შეიძლება დაგვიცადე-
ოთ...“

ამ დეპეშის მიღების შემდეგ კოლ-
ნიზატორთა ჯარისკაც - ოფიცირებიც
„უეკის“ გუნებაზე დამდგარან, და
„ტანგოს“, „ვალსის“ თუ „რუბა-
ფოქსტროტის“ ცეკვით დაუტოვებით
ქალაქი დონგ ხე.

უფრო ზორე...

როგორც რადიო იტყობინება, ამე-
რიკის შეერთებულ შტატებში, უკანას.
კნელად ჩატარებულ არჩევნების დროს.
დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარ-
ტიათა კანდიდატებს შორის იმდენად
გახურებულ საარჩევნო ბრძოლა.
რომ რესპუბლიკურ პარტია უკანას და
უკანას დამარცხებული გახდა, თა-
ვისი უპირატესობის დამტკიცების მიზ-
ნით, ას მეტრზე გაეცემა ვამოუწვე-
ვია მოქიშე დემოკრატელთა კანდი-
დატი:

ას მეტრი რა არის. უფრო შორს.
ბატონო კანდიდატები!



გასამართი თავდასხატაში!

რუსთაველის პროგრ. № 19, კიბი სპარსაში

დიდი, გაბედული ვაჟა-ცი არასოდეს კუოფილვარ, მაგრამ იმ სალამოს ჩემი ლამაზი მეზობლის მომხიბვლელ ღიმილს უყოყმანოდ ავყევი, — თუმცა ვიცოდი, რომ მისი მამა ერთი ვიღაც ახმახი და უხეში, თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცი იყო და თავის ქალიშვილს არამც თუ ჩემისთანა, წიგნების ამარად დარჩენილ სტუდენტთან, არამედ საჯახოდ კარგად მომარაგებულ მამაკაცთანაც გავლას უკრძალავდა.

ჩვენ მაინც გავძელეთ. იმ სალამოს კინოში წასვლა გადავწყვიტეთ.

„სპარტაკში“ მუსიკალურ ფილმს უჩვენებდნენ, ყველასთვის ცნობილ ფილმს: „ჯამბაზებს“, და ჩვენი არჩევანიც მასზე შეჩერდა.

შესანიშნავია მართლაც კომედიის მითამაშეთა ეს ტრაგედია. მისმა მუსიკა არ შეიძლება გული არ აგით-როთლოს და თუმცა სუსეტი აქ უკვე არა მამის, არამედ მოტუშებული ქრისტიანული შესაზღვრო მრისხანებას გამოხატავს, ჩვენ გული მაინც სანახეროდ დავი-შოშინეთ, თვალები ეკრანს მივაბყარით, გვერდები — ერთმანეთს და ბერლ დარბაზში თავს წყვილად ვგრძნობ დით ისე, როგორც მრავალი თქვენგანი, ჩემო კარგებო...

სიყვარულის ამბავი კი ეკრანზე ცეც-ხლივით ღვივდებოდა.

— თქვი მისი სახელი! — ჩასძახოდა გააფორებით ქმარი კანი, თმაგამლილ-სა და წელში შოლტივით გადაზნექილ ნიდას...

— თქვი მისი სახელი!..

და ჩვენც სულგანაბული კუცდილით პასუხს, რომ ამ დროს, საიდანლაც, უფრო მჭერარედ გაისმა:

— აანთეთ შუქი! — და უმაღვე კუცლასთვის მოულოდნელად კინოარბაზში შუქი აენთო, კინომსახიობები მოჩენებებივით გაფერმკრთალდნენ და გავჭრნენ.

— კარებთან დადექით! — გაისმა ისევ და მთელი დარბაზი შიშისა და გაოცების სიჩქარეში.

ადგილად წირმოიდგენთ ჩემს მდგომარეობას. უნდა გამოგიტყდეთ, ისე შევკრთი, რომ ვერც კი მივხვდი დროზე ამექრიდი ჩემი ხელები, ლამაზი მეზობლის კალთაზე რომ ეწყო. და როცა ქალის ჩერჩული გავიგონე, — ხელები მარცხნიდან მარჯვნივ ისეთი გაქანებით გადავისროლე, როგორც ეს პიანინშე დამკვრელებს სხვევიათ ხოლმე. კისერი გამიშვდა, ჩუმად გავაპარე თვალები კარებისაკენ. კარებთან ახლად შემოსული ჯაფუი იდგა, შეიდი-რვა კაცი. უნძოდ, პირდაპირ შემოგვცეროდნენ. გვეხრევდნენ, სათითაოდ გვაკვირდებოდნენ. ჩვენი მხრების ყოველ შერხევას მკაცრად უთვალთვალებდნენ. აბა, რა დიდი დანაშაულია ახალგაზრდა იჯდე ახალგაზრდა ქალის გვერდით, მაგრამ, ვიმეორებ: მისი მამა გამასენდა, მკაცრი მამა!

ვეცადე წამით მაინც თვალი ამერიდებინა ხიფათისათვის — მალლა ავიხედე — დარბაზის ქრის ზურგით შედგომოდნენ წელზე ხელშემოქმედობილი მოხუცთა თეთრი ქანდაკებანი...

— მოქალაქე! — იქექა ისევ ძახილმა და მე მეგონა ეს ქრის თავზე ჩამომექცა... კარებში მდგომა უფროსმა ადგილზე გააქვავა ბავშვი, რომელმაც დარბაზში თავისუფალ სკამს მოჰკრა თვალი და მოინდომა თავისი ადგილის გადანაცვლება.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავშია დღეს ტატიშვილი! — ჩაილაპარაკა ჩემს წინ მჯდომარე დარბაზისელმა მოხუცმა...

— ქმარა! — ბრძანა ისევ ტატიშვილმა, და გადავრჩით, კარები ხმაურით მოგვიხურეს და შუქი ჩაგვიქრეს.

ეკრანზე ისევ ამოძრავდნენ მსახიობები. მაგრამ მე ჩემი დამემართა, — როცა გამოვერკვევი, ეკრანზე უკვე ის ორი საბრალო შეკვარებული შოკლული იყო...

ვერც ჩემ წინ მჯდომარე დარბაზისელი მოხუცი დამშევდა.

— განა პირველად სჩადის ამას ტატიშვილი!.. მე ამას უყურადლებოდ ვერ დავტოვებ... — თქვა მან, მოიხსნა სათვალეები და მისმა ჩრდილმა დარბაზი სწრაფად გაიარა.

ვფიქრობ, არავისთვის საინტერესო ალბორ არის იმის აღწერა, თუ როგორ დამთავრდა „ჯამბაზების“ ტრაგიული ამბავი.

იმდენ ხალხში, არა მგონია ვინმე აღმოჩნდეს, რომელმაც იმ დღეს იმ კინოსურათიდან ესთეტიკური კაუმაფილება მიიღო. თავზილუნული გამოვდიოდით და თან ვფიქრობდით: რა მოხდა, რას გვერჩიდნენ, თავს რატომ დაგვესხნენ!

კინო „სპარტაკის“ შესასვლელში ისევ ის მოხუცი კაცი შევნიშნე. ღირებულობის ოთახიდან გამოდიოდა... უმალ ყველანი გარს შემოვეხვეთ.

— განა პირველად ხდება ეს, — გვითხრა მან. — უკლახუთშიაც ასე მოხდა. ოცდარვაშიაც! ეს კაცი გვარად ტატიშვილი გახლავთ, კინოფილაციის ინსპექტორი. დადის და თავის კინოთეტრებს ამგვარად ამოწმებს! შესწევეტს კინოსეანსს მოულოდნელად და სათითოდ ითვლის, თუ რამდენი თავია დარბაზში, მერე ამ თავებს გაყიდულ ბილეთების რაოდენობას შეუფარდებს და ვაი იმ თავს, რომელიც ბილეთზე შეტი აღმოჩნდება!..

უნებლივიდ გამეცინა. გამეცინა და გულზე მომეშვა, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ მე ჩემი „დარბაზი“ მქონდა, ახლა კი როცა ამ ამბავს ვწერ, გული მომდის: რა უფლებით ესხმის თავს კინოდარბაზებს ამხ. ტატიშვილი, თავისი კომისიის თანხლებით! რა უფლებით სწყვეტს სურათის ჩემნებას! ეს ხომ როგორც მაყურებლის, ისე თვით კინოს შეზაფთა, საჯარო შეურაცხვოფა!

კინოთეტრების შემოწმება უთუოდ საჭიროა, მაგრამ არა ასეთი წესით!

კინაიდან სტუდენტს არ სუს თავისი კინაობა გამოლანოს. ხელს ვაწერ: გოგოთურ მიგრირებლის





— ამხანაგებოს! ჩეგნ, შილიონერები, ჩეგნს წევრს ვახახედებთ დეპუტატობის კანდიდატი! სამაზულო მოში იგი გულს სწინავდა ჩეგნს ხაერთო ხაემეს. გმირული შრომით მან შილიონერი გახადა ჩეგნი მეურნეობა და მშევდობისათვის იძირდის მუდა!

მილიონი ათი ჭიქა



გაიღვიძე, აპოლონ... აპოლონ, შე ოხე-
რო! — ამაღდ აღვიძებდა ცოცინო ქმარს. ბოლოს
ქმარმა ცალი თვალი გააქცირა და ხმა გასცა:

— რა გინდა? მომეტვი...

— შუადღეა, სამსახურში წასვლას არ აპი-
რებ?

— დილის რვა საათზე მოვედი... მაცალე ძი-
ლი.

— ყოველდღე დილამდე იქვიფე, გასცდი და
და გაიგლიფე. შენი ცოლ-შეილი კი წყალმა
წაილს, არა! ნეტავი ჩეგნ შენს შემყურებს! ნუ
იძინებ... არ გესმის? ბაზარში უნდა წავიდე.
ფული მომეცი სადილისათვის, მალე... საცაა
ბავშვები სკოლიდნ მოვლენ.

— ფული სრულდებით არა მაქს, შენს თავს
წუიცავ. მაცალე გამოვიძინებ... მერე სამსახურ-
ში წავალ... ფულს ვიშვოვი. ბაზარი არ გინდა.
გასტრონომში ვყიდოთ რამე... დღეს იოლად
წავიდეთ. — უთხრა ცოლს ვექილმა აპოლონ გე-
გეშიძემ. თვალებდასისლიანებული კაცი ოხ-
ვრით და კანესით გადაბრუნდა კედლისკენ. იგი
თავის კაბინეტში იწვა. გამხდარი, ქერა და მა-
ღალი ქალი საწილთან ედა და თაოხვდა:

— იკვნეს, მუდრეგო. გულ-ლეისძი არ გი-
ვარგა და ლეინის მაინც არ ეშვები. რა დაგე-
მართა ისეთი, ვექილი კაცი რომ ყოველდღე
ლეინს სეამ, ლოთობ და შინ ჯიბეცარიელი
მოდიხარ? იქნებ ცოლ-შეილი შეგხარდა, თავი
გინდა გაგვანებო და მიზეს ეძებ?

— აპოლონმა იყუჩა. ამა უფრო გააბრახა ცო-
ლი და ეპვები გაუდინიან.

— გარეთ რომ ენაგარტალა ხარ, შინ ენა
მუცელში რამ ჩაგიგდო, შეჩვენებულო ალის
ქარი ხომ არ ჩაგივარდა

— ჩემი ენა ველარ სჭრის. სხვებმა უკეთ გა-
ლესეს და მაჯობეს. რა გინდა, რას დამადექი
სულთა-მშეთავითი ამ დილით თავზე? აკი გით-
ხარი, გამოვიძინებ, ავდგები და დასაწვავ ფულს
ვიშვები-მეტქი.

— ჩემს ქმარს და ჩემი ბავშვების მამას თუ
არ მივმართე, აბა ვის მივადგე? ვის, გამავ-
ბინებ!

— ციცინო, თავი დამანებდე, თორემ შენს თავს
ვუიცავ, გავბრაზდები და მერე ხომ იცი... თავი
დამანებდე, მერებადა!

— არა, გათავდა. ალავე მივდივარ დედას-
თან და დებთან. აქ მოვიყვან ყველას და
მათ მოვლაპარაკე. მე შენთან ლაპარაკის თავი
არა მაქსეს.

— ციცინო ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახი-
დან.


— ციცინო, — მიაძახა ჯერ კიდევ ღვინოგამო-
უნელებელმა აპოლონმა, მაგრამ ცოლმა ხმა არ
გასცა. — ციცინო, არ გაბეღო დედასთან წასვლა;
თორემ, შენს თავს ვუიცავ, გავბრაზდები და
ხომ იცა, დაგხოცავთ!

— ციცინო მაინც წავიდა. აპოლონი ყურს ჯგ-
დებდა ცოლის გაჯავრებულ ნაბიჯებს. ცოლმა
კარები მიახეთება და ბინიდან გავიდა.

— ვაი შარს! — გაითიქრა აპოლონმა და გულ-
ალმა დაწვა. თავი საშინლად სტკიოდა. — ცი-
ცინოს არასოდეს არ გადაუდგამს ასეთი ნაბი-
ჯი, — განაგრძობდა ფიქრს. ვექილი, — ალბათ ნამ-
დგილად გადასწყვიტა ჩემთან გაყრა. ვაი, სირ-
ცხვრლი რა ვენა, რა წყალში ჩაგვარდეს ნების-
ყოფა არა მყოფნის, რომ ლეინის სმას თავი გა-
ვანებო. იციან ჩემი სუსტი ხასიათი. დამპატი-
უებენ, რესტორანში შემათრევენ და ერთ
ბოთლს რომ დავლევ, მერე მე თვითონ მინდა

დილამდე ქეიფი ნუ გეშინია, აბა ჩემ კოლეგას
სანდრო ჯაიანს გურავინ შეაცდეს. შისი დაპა-
ტიუბული კაცი არავის უნახავს, უამრავი კლი-
ენტურა ჰყავს. საცდავებს რიგამდე ტყავს აძ-
რობს. აურაცხელ ფულს აკეთებს, მაგრამ კა-
პიკაც ვერავინ გააგდებინებს, „ჯიბეში ხელს
ვერ ჩატყავები, მორიელი უზის და ეშინაოა“, —
ამბობენ. მერე რა? იმიტომაც მეფურად ცხოვ-
რობს. აბა მისი ბინა და მორთულობა ნახე,
როგორია! აბა მისი ცოლის შავრუხი მეღლის
ქურქი ნახე, როგორია! სანდრო მილიონერიით
ცხოვრობს. შეიღებიც თავის მსაგასად გაწვრ-
თნა. შეიღებიც ფაჯარასთან დადგებიან ისე,
რომ ქუჩა და შესასლები კარგი სიახლეს. თუ
კლიენტი დაღვნირთ დაპარული დაინახს, მა-
შინვე მამას მიახარებინ და სანდროც დომილით
და ხელგაშლილი მიეგებება ძლევნის მომტანს
კარებში. ხოლო კლიენტი თუ ხელგარიელი
დანახეს, თავითევ გაიკრებიან ქუჩაში და ეტ-
ყვითენ: მამა შინ არ არის, რუსეთში წავიდა და
არც აპირებს რუსეთიდან დამტუნებას. მე კი
რა ლმერთი გამიშრა: სანდროს მეტი ნიში,
განათლება და გამოცდილება მაქს, მაგრამ
ლოთობის გამო ვილაპები და ცოლ-შეკილიც
მეღუბება. არა. მორჩა და გათავდა. დღეიდან
ერთ წვეტ დევინს აღარ დაღლება, — დაადგინა
ვექილმა. ბევრჯერ გამოუტანა ასეთი დადგე-
ნილება დევინით გააბაზულ, დავადებულ, ნერ-
ვებმოშლილ და უნებისყოფო საცდავ კაცს.

აპოლონი ჯერ ისევ იწვა, როდესაც ციცინოს
დედა და დები თავს დაადგნენ და კველა ერ-
თად აყვანდა, ქოქოლა დაყარეს თავზე, შეარ-
ცხვრინეს, ათრიეს და ციცინოსთან გაყრა მოს-
თოვეს. ვერას გახდა მეცნიერებული ვექილ-
ბოლოს ცრემლი მოერია და მუდარით უთხრა
ციცინოს დედას:



— ჯენტლმენებო! ჩეენ, მილიონერები, ჩეენს წევრს გასახელებთ დუმუკაცობს კანდიდატად! აზის
ხალხებთან იმში იგი ფულს ხწირავდა ჩეენს ხაერთო ხაქჩეს. ხაბრძოლო იარაღის წარმოებით იგი მილიონერი
გახდა და ომზე თცნებობს მუდამ!

— არა გრცხვნია, დედა! განა შენ ოჯახის
ჰატონი, გამოცდილი ქალი არ ხარ, ოჯახს
რომ მინგრევ და მღუპავ ცოლ-შეილიან
ჯაცი, ვის არ ჩაუდენია შეცდომა, ვის არ მოს-
ვლია უბრძური შემთხვევა! მეც ფეხი დამიცდა.
ცუდი რამ შემემთხვა! დიდი საქმე წავაგე. მის
გამო სასოწარევოთილებაში ჩავაგრძი და ამი-
ტომ მოყვე ხელი ღვინის სმას. ახლა გათვდა,
მაცალეჭ. სულს ნუ ამომხდით. გამომცადეთ.
და გრცხვნია, თუ ერთი წევრი ღვინო დაელიო, მა-
შინ და, გამეყაროს ციცინო!

ამასე შეთანხმდნენ. ციცინოს დედა და დები
გახარებული და ღამშეიდებული წავიდნენ შინ-
ვეტილმაც საჩეაროდ ჩაიცა, პორტფელი აიღო
და სამსახურში გასწია. ნამრიტალევმა ციცი-
ნომ კი მეტის ხალისით დაიწყო დიასახლისო-
ბა. სარეცხ შეაგრძოვა...

როდესაც აპოლონი სახლიდან გამოვიდა და
ოცი ნაბიჯი გაიარა, ქრისან ვიღაცმ დაუ-
ძახა. იგი აპოლონის კლიენტი, ერთი ახახი,
კურატივით ჩასუქებული, მოქეიფე და ფულის
მხარეველი კაცი იყო—შალვა მასტურაძე. მის
შესახებ მისი ძმა-ბიჭება ამბობდნენ: „ისეთი
ჟურმარილიანი და მხარჯებული ვაჟაცია, ჭრა-
ორუ პირად სარგებლობაში რომ ჩაბარო
თვენახვარში გამოუყვანს წირვასო“. შალვა
მაისურაძეს ნიშნებაყრილი სამხედრო ტანისა-
მოსი ეცა და ტყავის ჩანთა ეკიდა. კარგა ხა-
ნია რაც აპოლონი არ ქნახა. ხელები გაშალა,
მოეცია და ლოშნი დაუწყო. შალვას რაღაც
დრდი და „სარისკო“ საქმე ჰქონდა აპოლონთან
წამოწყებული. საშაროდ, აპოლონის სახლის
ახლოს ამას წინათ რესტორანში შესვლა. შესთავაზა, აპო-
ლონმა უარი უთხრა და ფეხი გაიღვა. როცა
უარმა ვერ გასჭრა, ღვინის სმის გამო ცოლთან
მოშდარი უსიამოვნება უმბო და უთხრა:

— ვერა, ვერ წამოვალ რესტორანში. ოჯახი

დამენცხევა. სხვა არა იყოს რა, შინ სადილის
ფულიც კი არ დამიტოვებია.

— ფული? — გაუცემოდა შალვას, ჩანთა გახსნა
და ვეჯილი შიგ ჩახედა. ჩანთაში ახალი და
გაუტეხელი ასმანეთიანების დასტები ეწყო.
ფული მოგიტანე, — უთხრა კოსტამ, — მაყარიჩიც
ჩემზე იყოს. შევიდეთ რესტორანში, მოვილა-
პარაკოო.

აპოლონი შეყ ყმანდა, ფული არა ჰქონდა,
მშეირი იყო და თანც ღვინის წყურვილი
ჰქლავდა. რესტორანში შევიდნენ. ბევრი ღვინო
დალიეს. ბოლოს შალვამ ახასი მანეთი გადასცა
ვეკილმა. ვეკილმა პორტულში შეინახა. ღვი-
ნით ბირთამდე აღისა და მეტი სმ, არ მოი-
სურვა. ადგა და ბარბაცით შინისკვნ გაეშურა.
მშეირ კუჭე უზიმო ღვინო ზედიზედ რომ შე-
სვა, უმალ დაითხო ღოთობით მოტებილ, და
დასუსტებული კაცი. ფეხზე ვეღარ დგებოდა.
ის მანიც მოისხრა უკანა კარებიდან შესული-
ყო შინ. ცოლის ეშინოდა.

აპოლონი აღაყაფის კარებში შევიდა, ესო
გაიარა და აივანზე ავიდა. უკანა კარებს მიუ-
ახლოედა ბარბაცით. გზასე კასრას და წედ
შევებულ ტაშტს წამოერა ფეხი და ხმაური და
აურ-ზაური ასტერა. ციცინომ ფანჯრის ფარდა
ასწია და აივანზე გაიხედა. აპოლონი წაბარ-
ბაცდა და სვეტს წაალო ხელი. ცოლმა თვალს
არ დაუკვრა და ხელით მოიჩრდილა. თაქა-
რი დაეცა: „სად მოასწრო, ამ შეჩერებულმა,
ერთ საათში ამრიგად დათრობა!“ — კაილთა
ღრმენით გაიფიქრა მან.

აპოლონი ოთახში ბარბაცით შევიდა, სლო-
კინი აუტყდა და სიტყვა ვერ ამოილო. ციცი-
ნომ უყვირა:

— გასწი, გამეცალე, გაუსწორებულო, ღოთო,
ოხერო..

აპოლონმა ათი ახალი, გაუტეხელი ასმანე-
თანი პორტფელიდან ამოილო, მაღლა-ასწია
და ცოლს შესძახა:

— მა არ ამოილო, გარჩუმდი ციცინო.. ათასი
მანეთი მოგიტანე. აპა!

ცოლმა ფული გამოსტაცა, გადაოვალა და
ჰქითხა:

— კი მაგრამ, ამ ერთ საათში ათასი მანეთი
სად იშოვე?

— ვიშოვე, ციცინო, ჩემი სკოლის ამშანავი
შემეყარა, დარღდიმანდი, ფულის მხარჯელი და
ლოთი-შეფოთი ვაჟაცი, პირობი დამიდო რაჭ-
დენ ჩაის ჭიქა ღვინოს დალევ; იმდენ ას მანეთის
მოცემო. ათი ჭიქა დავლიშ; ციცინო, ათი...
შე თავს ვფიცაც. მეტი კი რუ დასცე-ნებული
ვიქ-ნე...

— რაო, რაო! — შეკავებული რისხეით შეუ-
ტა ციცინომ, — ასეთი პირობა თუ დაგიდო, “ა
ლმერთი გაგიშტრა, შე იხერო.. როდესაც შინ
სტუმრებს პატივებდი და საკუთარ ფულს ხარ-
ჯავდი, მასხოვს, ათი ჭიქა კი არა, ოცი და
ოცდაათი ჩაგიცეცლნია. ახლა კი რა წაგა-
ნდინა და რამ შეგიცრა კრიკა? არა, არა მჯე-
რა, მეტს დალევდა... მოდი, ერთი გაგჩჩიკი!..

ცოლმა გაჩერიდა, მაგრამ ათას მანეთშე მეტი
ფული ვერ აღმოუჩინა.

— ფეხზე ვერა დგები, შე საცოლდავო, წამოდი,
დაწევი, მოგეხმარები. — დაუტკბა ციცინო...

აპოლონი დაწევა. სწუბდა, მაგრამ მაინც სიძ-
ლეზი წამოიწყო. სლოკინი უშლიდა:

— ციცინო, ციცინო, მოდი ჩემთან, ვიცი-
ნო... ვიცი... ღვინო... ღვინო... ღვინო... ღვინო... ბასტა...

— რა, ალარ დალევ ამიერიდან? — ჰქითხა
ცოლმა.

— ჰო, რა ვიცი... როგორც შენ მოისურებ...
ჩემო ციცინო..

ალექსანდრი ჩუთათვლი





— ორგზის გმირია ჩემი სამსონი,
და მეც მეორედ ბევი მეწვია:
„სამსუნის“ კიშის თამბაქო მოჰყავს,
თყითონ კი წევას გაღაეჩვია!

ნახ. ლალისა



ტელეფონი, ავტომატმა,
გუდს ისარი გამიყარა.
უცნაური მანქანა—
ფუძს იღებს და ხმას კი... არა.
დინია თანამდებობა

ნავთის წყარო სურამში

ერთ დღეს ჩეველებრივად გათენდა სურამში. დილა
ისეთივე მყუდრო და საამო იყო, როგორც წინათლით. და
ისევე ლავარდი, პერიც ლურჯად მოლივლივე. ეჭით სახული
ყვით, დილა იყო მყუდრო და არც ერთი სურამში რაჭები
ზებუნებრივ სასწაულს არ მოელოდა.

მაგრამ აი, ჯობაძეანთ უბანში, შეა-სურამის წყაროს-
თან უეცარი ჩოქოლი ჩავარდა:

— ამოხეთქი, ამოხეთქი! ზეხე, რა ზავად მოდის!

— არა, როგორია ბზინავს ეგ დალოცვილი!

— მოსულან ამ დილას ჩენი ქალები, კოკები შეუდ-
გამთ და რას ხედავენ: წყლის მაგიერ—ნავთი გადმოდის
შილიდან. სასწაულია მა, რა არა?

— მერე რა წყარო გვეკონდა: ანკარა, ჩენი საამაყო!

— ვინ იფიქრებდა, თუ აქაც ამოხეთქევდა, პა?

— ვითომ ვულკანის ამოხეთქვა კი არ არის მოსალოდ-
ნელი? რა ვიცი, ისეთი არეული ამინდია, რომა...

— აბა, ეგ არის საშიში, აი! რა ვეტველება მაშინა?

— ველგებით და ქალაქს წავალ!

— ვითომ ქალაქიანდის ვერ მისწვდება?

— რას ამბობ, ხაშურამდისაც ვერ მიაღწევს!

— შეიძლება ასეც იყოს, ბაგრამ ე სურამიდან აყრა რომ
მოველის—ეს კი ცხადია! აბა დაფიქრდით, აქ ნავთის კოშ-
კები იდგმება; აგრე იქითქენ—ჯაფინაურში — ახალ ჭაბურ-
ლილებს ჩასჭრიან, სულიანთ უბანში საწმენდ ქარხებს
ააშენებენ!

— ზინდისში კი, ჩემის აზრითა, აუზებს გააკეთებენ!

— არა, აუზები იტრიაში სჯობია!

— ჭაბურლილს, ალბათ, სურამის ციხესიან დაკრავენ!

და ასე, აზრითა გაცვლა-გამოცვლა და ვარაუდების გა-
მოძებნა დაიწყო: სურამში უბანი—უბანს ეცა, აჩოქოლდა
ხალხი, ყველა კუთხიდან ჯობაძეანთკენ გარბოდნენ, გროვ-
დებოდნენ, თავის კომპეტენტურ მოსაზრებას გამოსთვებ-
დნენ იმის შესახებ, თუ რას იზამდა იღუმალი ბუნება: აკ-
მარებდა სურამელებს ამ „ამოხეთქვას“, თუ ვულკანსა და
მიწისძრას მოუგლენდა? ბევრი იმახედაც სწუხდა: ნავთი—
კარგია, მაგრამ ვაი თუ ეს შშენიერი კურორტი გაუქმდეს.

ბაგრამ, როგორც ცნობილია, მოულოდნელი სტიქიური
მოვლენა ადამიანს პირველ წუთებში ანენეს, შემდეგ კაცი
საქმეს უქვირდება და ნამდვილ ვითარებაშიც ერკვევა.

ასე ძოხდა აქაც.

ჯობაძეანთ უბის წყაროს მილში მაზუთი მოსჩერედა.
შიზეზი კი უბრალო იყო:

სადღაც ნავთსადენის მილი. გამსკდარიყო და გაუშენ-
დაგმა ნავთმა წყაროში ამოხეთქა. მოსჩერედა ნავთი, ილ-
ვრებოლა და სასწრაფო ზომების მილებას მოითხოვდა.

„იმედგაცრუებული“ სურამელები გაიქცნენ სადაბო
საბჭოში, აცნობეს და დახმარება ითხოვეს. საბჭოში “პირ-
ველი ზომების” შილება იმაში გამოხატეს, რომ ქეჩო მოიფ-
ხანეს და ჩაფიქრების შემდეგ თქვეს:

— აბა, რა ექნათ, ჩენ ხომ მენავთები არა ვართ?

მესამე ღლეს, მესამე კვირას, მესამე თვეს კიდევ მი-
მართეს:

— ნავთი თუ არ გენანებათ, სურამელები მაინც შეგვი-
ბრალეთ, წყარო გვეკარგებათ.

„პასუხი კვლავ „დასაბუთებული“ იყო:

— ზომები? აი, მივწერთ ნავთსადურის ადმინისტრა-
ციას და თავი იტეხოს!

მისწერეს.

როგორც ეტყობა, ნავთსადენის უბანშიც ქეჩოს მოფ-
ხანას დიდხანს მოუნდნენ. შემდეგ იმაზე დაიწყეს ფიქრი,
რომ უკეთესი იქნება მილების შეკეთებაზე თვით სურამის სა-
დაბო საბჭო იტეხოს თავით.

და აქაც გამოურეველი გახდა, თუ ნამდვილად ვის
მართებს „თავის ტეხვა“, ნავთ-მაზუთი კი არ იცდის, მოს-
ჩერეს, წყაროსთან ერთად იღვრება!

დღესაც გროვდებიან სურამელები, ჯობაძეანთ ანკარა
წყაროს იგონებენ და გაიძახიან:

— რას ფიქრობენ? არ უნდა შეაკეთონ?

— მართლა ნავთმა ხომ არ ამოხეთქა ე სურამშია?

არა, ნავთმა არ ამოხეთქა, ეს სურამის საბჭოს და
ნაეთის მესვეურთა უდარდელობამ ამოხეთქა. მათი უთა-
რობაა—დღეს რომ სურამის წყაროსთან ერთად მისტერეს.


ცარსადანი



თუთილი თუთილურიან

ჩემი ძველი მოხსენება
ვეძიე და ვერსად ვნახე,
თუ ახალი რამ წამომცდეს,
თუ გიყვარდე, შემომძახე.

გეგოპეპის მოყვანული
საჭმელს განა ასე ვნოქავდი? — და კრებაზე მაინც გუშინ
ვანსხვავებდი მე გემოთი, — დამიძახეს ბეგემოტი!



ზოგიერთი დირექტორი

ვგრძნობ მომხსნიან! ველარ ვბეღავ.
ღომო. შენებრ თვალთა ბრიალს,
ვერც ბუხაძლერს ველარ ვაფრთხობ
და ვერც დამგვედს თავსაფრიანს!

კრიტიკოსის თვითპრიტიკა
კრიტიკოსს რომ მეძახიან
განა არის მართებული?
რას იტყვიან, რომ გასინჯონ
შენი ჩანისკარტებული!



კიბერგანიარის სკეციალისტი

მთელი ღლეა ვუცერ ამ გარს
და ფერი არ გაღაუდის...

ნყაღს უძღებდეს ნეტავ ასე
ფერი შაღის და მაუდის! —

ტექსტი დელი-ოლილაგაძის

ნახატები ღონისა

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაციო ქოლეგი: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი,
ურა კაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. Редакционное лицо: რუსთაველის 3-й кв. № 42. ფ. 3-10-49.
ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 21/XI. სტამბა „ზარია ვლისტონა“ რუსთაველის 3-й кв. № 42. ფ. 2584. ფამოც. № 116. ტირ. 11.000. ფ. 17282.



| თურქეთის პრეზიდენტის ჯელალ ბაიკის გამჭრის ხომალი

— თქვენმა მთავრობამ ჩა ჰქნას, თუ თქვენ ყველანი ღა-
ავარებული ხართ ტრახომით, მაღარიით, სიფილისით! ჭდექით
კი ყოველ წელს ორმოც ათასზე მეტი კვერცით,—არ გირჩევ-
ნიათ, ჟარის ნაშიდებში ჩაეწეროთ და კორეაში დაღიოთ სუღი!
თქვენი ღამაჩხვის ღავიღარაბირან მაინც გაათავისუდებთ თქვენს
საყვარედ მთავრობას!